საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აღვირი

აღვირი, ცხენის აღკაზმულობის ნაწილი. შედგება ლითონის ლაგმისა და თასმებისაგან. ლაგმის რგოლებში გაყრილია სადავეები და გვერდითი თასმები, რ-ებზეც მიბმულია საცხვირე და საშუბლე. გვერდით თასმებს ზემოთ მიკერებული აქვს ყურებზე გადასაცმელი და ყელსქვედა თასმები. ა-ის ტოტები ბოლოში კვანძითაა შეერთებული. სადღესასწაულო ა-ის თასმები შემკული იყო ვერცხლის ნაირნაირი ღილებით – პეპლებით.

ნ. აზიკური